ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2016 წლის 4 ოქტომბერი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №37 დადგენილებით დამტკიცებულ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალურ პროგრამაში“ (www.matsne.gov.ge; 29/12/2015წ; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016280) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პროგრამის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება (ქრონიკული ოსტეომიელიტი – M68.9; ღვიძლის ქვემწვავე უკმარისობა – K72.0; ანემია დაუზუსტებელი – D64.9; ჰეპატოსპლემონეგალია R16.2; რბილი ქსოვილების დეფექტი ლოკალური ინფექციით – L08.8; თითის ეკზარტიკულაციის შემდგომი პერიოდი; პოდაგრა – M10).“;

ბ) პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოქალაქემ/წარმომადგენელმა პროგრამის მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „დ“ და „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №100);

დ) სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ანგარიშფაქტურა ან ინვოისი) სამედიცინო დაწესებულებიდან;

ე) ცნობა/მიმართვა რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრიდან სამედიცინო მომსახურების დაფინანსების არ არსებობის ან ნაწილობრივი დაფინანსების არსებობისა და მისი ოდენობის შესახებ;

ვ) ცნობა/ბრძანება პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების შესახებ.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე **ტარიელ ბაკურაძე**